# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 1074 2022 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან სესხის გამოყოფის შესახებ**

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის №2386 განკარგულების საფუძველზე, 2021 წლის 29 დეკემბერს კანადურ კომპანია WESTINCOR LIMITED-სა (მოქმედი საქართველოში მისი ფილიალის „ვესტინკორ ლიმითედ საქართველოს“ სახით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიას“ შორის გაფორმდა მორიგების ხელშეკრულება;

ბ) მორიგების ხელშეკრულების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ და შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ“ აიღეს ვალდებულება კანადური კომპანია WESTINCOR LIMITED-ისათვის 10,016,007.37 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდაზე, მათ შორის, 2022 წელს დასაფარი თანხა შეადგენს 6,810,022.99 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის ბიუჯეტში ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით 2022 წელს გადასარიცხი 6,810,022.99 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის რესურსი გათვალისწინებული არ არის.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფლება მიეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სესხი აიღოს საქართველოს მთავრობისაგან.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2021 წლის 29 დეკემბრის მორიგების ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ანაზღაურების მიზნით, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას სესხის სახით გამოუყოს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარი, შემდეგი პირობებით:

ა) სესხი გაიცეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გარეშე;

ბ) სესხით სარგებლობის წლიური განაკვეთი განისაზღვროს ნული პროცენტით;

გ) სესხით სარგებლობის ვადა განისაზღვროს არა უგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრამდე;

დ) სესხის დაფარვა განხორციელდეს 2024 წლიდან ყოველწლიურად, თანაბარი მოცულობით.

4. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**